# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №282

**2014 წლის 10 აპრილი**

**ქ. თბილისი**

## „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402 დადგენილებაში (სსმ, 172, 31/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1.** შეიქმნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომში - საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

| | |
|---|---|
| **ნოდარ ხადური** | – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე; |
| **ლაშა ხუციშვილი** | – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| **გიორგი ჯავახიშვილი** | – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე; |
| **მამუკა ბარათაშვილი** | – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი; |
| **დავით ქევხიშვილი** | – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის უფროსი; |
| **დავით მოლოდინი** | – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; |
| **ზვიად ჯორჯაია** | – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი; |

| | |
|---|---|
| **გიორგი მალძიგაშვილი** | – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი; |
| **გაიოზ თალაკვაძე** | – საქართველოს მთავრობის კანცელარიის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი; |
| **ოთარ იაშაღაშვილი** | – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; |
| **მიხეილ ადეიშვილი** | – საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი; |
| **ზურაბ ძნელაშვილი** | – საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილე.“. |

**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**